სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

19 **სექტემბერი, 2024 წელი**

ბრძანება N01-02/165

ბსუ-ს სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებზე 2024-2025 სასწავლო წლისათვის დამატებითი მიღების გამოცხადების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, ბსუ–ს წესდების მე-13 მუხლის, საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის 2009 წლის 22 აპრილის N227 ბრძანებით დამტკიცებული ,,სამაგისტრო გამოცდების ჩატარების დებულებისა და სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის განაწილების წესის", **„**2024–2025 სასწავლო წლისთვის ბსუ-ს სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების ანკეტა-კითხვარის დამტკიცების შესახებ" **ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2024 წლის 6 თებერვლის N06-01/18 დადგენილების,** ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2015 წლის 08 ოქტომბრის №111 დადგენილებით დამტკიცებული **„სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის",** ,,ბსუ-ს 2024-2025 სასწავლო წლის **აკადემიური კალენდარის** დამტკიცების შესახებ'' ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2024 წლის 16 ივლისის №06-01/50 დადგენილების (ცვლილება დადგენილებით N06-01/65, 12.09.2024წ.), ,,ბსუ-ს სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებზე 2024-2025 სასწავლო წლისათვის მიღების გამოცხადების შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2024 წლის 21 აგვისტოს N01-02/144 ბრძანების საფუძველზე და 2024 წლის 9-12 სექტემბერს ჩატარებული მისაღები გამოცდების შედეგების გათვალისწინებით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. 2024-2025 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისათვის **გამოცხადდეს დამატებითი მიღება** ბსუ-ს სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებზე წინამდებარე ბრძანების **N1 დანართის** შესაბამისად (2024 წლის 9-12 სექტემბერს ჩატარებული მაგისტრატურაში მისაღები გამოცდების შედეგების გათვალისწინებით დარჩენილ ვაკანტურ ადგილებზე).
2. მაგისტრანტობის კანდიდატთა რეგისტრაცია განხორციელდეს **2024 წლის 20 და 23 სექტემბერს (**შაბათ-კვირის გარდა) 10:00 საათიდან 17:00 საათამდე (ბსუ-ს I კორპუსი, ოთახი N19, ბათუმი, ნინოშვილის/რუსთაველის N35/32).
3. მაგისტრანტობის კანდიდატმა რეგისტრაციისათვის უნდა წარმოადგინოს:

ა) განცხადება (შევსებული **№ 2 დანართის** შესაბამისად);

ბ) პირადობის მოწმობის/პასპორტის ასლი;

გ) ერთიანი სამაგისტრო საგამოცდო-საიდენტიფიკაციო ბარათი;

დ) ბაკალავრის (ან მასთან გათანაბრებული) აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დიპლომის (თანდართული დანართით) ნოტარიულად დამოწმებული ასლი (ბსუ-ს კურსდამთავრებულთათვის - ბსუ-ს მიერ დამოწმებული, ხოლო 2024 წელს კურსდამთავრებულთათვის - ცნობა აკადემიური ხარისხის მინიჭების თაობაზე), უცხო

ქვეყანაში მიღებული განათლების აღიარების დამადასტურებელი დოკუმენტის ნოტარიულად დამოწმებული ასლი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
ე) ორი ფოტოსურათი, ზომით 3X4–ზე, ელექტრონული ვერსია CD დისკზე;
ვ) წვევამდელის სამხედრო-სააღრიცხვო მოწმობის ასლი (ან სამხედრო ბილეთი, ასეთის არსებობის შემთხვევაში).
ზ) სხვა დოკუმენტი, თუკი ითვალისწინებს შესაბამისი სამაგისტრო პროგრამა.

4. მაგისტრატურაში მისაღები გამოცდები ჩატარდეს განრიგით:
4.1. **მისაღები გამოცდა უცხო ენაში** (კონკურსანტს მოეთხოვება არანაკლებ B2 დონეზე ცოდნა) - 2024 წლის **24 სექტემბერი** (დაწყების დრო 10^{00} საათი; ჩატარების ადგილი - ბსუ-ს საგამოცდო ცენტრი - ბსუ-ს N4 კორპუსის მე-3 სართული - ქ. ბათუმი, ფიროსმანის ქ. N12);
4.1.1. უცხო ენის გამოცდის შედეგების გამოცხადება - 2024 წლის 24 სექტემბერი;
4.1.2. საპრეტენზიო განცხადებების მიღება - 2024 წლის 25 სექტემბერი 10^{00} დან 16^{00} მდე, ბსუ-ს საქმისწარმოების სამსახურის (კანცელარია) მეშვეობით (ბსუ-ს I კორპუსი, **ოთახი N1,** ბათუმი, ნინოშვილის/რუსთაველის N35/32).
4.1.3. საპრეტენზიო განცხადებებზე პასუხის მომზადება - 2024 წლის 26 სექტემბერს (ეცნობება კონკურსანტს, მის მიერ სარეგისტრაციო განცხადებაში მითითებულ ელექტრონულ მისამართზე).
4.**2. მისაღები გამოცდა სპეციალობაში** (წერითი) - 2024 წლის **27 სექტემბერი** (გამოცდის დაწყების დრო 10^{00} საათი; ჩატარების ადგილი - ბსუ-ს საგამოცდო ცენტრი - ბსუ-ს N4 კორპუსის მე-3 სართული - ქ. ბათუმი, ფიროსმანის ქ. N12);
4.2.1. გამოცდის შედეგების გამოცხადება - 2024 წლის 27 სექტემბერი;
4.2.2. საპრეტენზიო განცხადებების მიღება - 2024 წლის 30 სექტემბერი, 10^{00} დან 16^{00} მდე, ბსუ-ს საქმისწარმოების სამსახურის (კანცელარია) მეშვეობით (ბსუ-ს I კორპუსი, **ოთახი N1,** ბათუმი, ნინოშვილის/რუსთაველის N35/32).
4.2.3. საპრეტენზიო განცხადებებზე პასუხის გამოცხადება - 2024 წლის **1 ოქტომბერს** (ეცნობება კონკურსანტს, მის მიერ სარეგისტრაციო განცხადებაში მითითებულ ელექტრონულ მისამართზე).

5. **მაგისტრანტობის კანდიდატები, რომლებიც უკვე მონაწილეობდნენ** 2024-2025 სასწავლო წლისათვის გამოცხადებულ **ბსუ-ს მაგისტრატურაში მისაღებ გამოცდებზე**, ვერ გადალახეს მინიმალური ბარიერი (ჩაიჭრა უცხო ენის ან სპეციალობის გამოცდებზე) და კვლავ წარმოადგენენ განაცხადებს მაგისტრატურაში დამატებითი მიღების გამოცხადების შემდეგ, **არ საჭიროებენ** წინამდებარე ბრძანების მე-3 პუნქტის **„ბ-ზ“** ქვეპუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტაციის წარმოდგენას, ამასთან, **უფლებამოსილნი არიან წერილობითი განაცხადებით მოითხოვონ** მიმდინარე წელს **ბსუ-ში** მისაღებ გამოცდებზე ინგლისურ ენის გამოცდაში მიღებული შედეგის გამოყენება.
6. მაგისტრანტობის კანდიდატი ვალდებულია გამოცდაზე იქონიოს პირადობის დამადასტურებელი მოწმობა ან პასპორტი და მოთხოვნისთანავე წარუდგინოს გამომცდელს (დაგვიანებული პირი გამოცდაზე არ დაიშვება).

7. გამოცდების **საბოლოო შედეგები გამოქვეყნდეს 2024 წლის 2 ოქტომბერს,** ბსუ-ს ვებგვერდზე და ბსუ-ს საქმისწარმოების სამსახურთან (კანცელარია) არსებულ საინფორმაციო დაფაზე.

8. შეიქმნას მაგისტრატურაში დოკუმენტაციის მიმღები კომისია **№3 დანართის** შესაბამისად (კომისიის მიერ დამუშავდეს წინამდებარე ბრძანებით განსაზღვრულ ვადებში მაგისტრანტობის კანდიდატთა მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია).

9. სამაგისტრო პროგრამებზე ჩარიცხვის უფლების მქონე მაგისტრანტობის კანდიდატებთან **ხელშეკრულებები გაფორმდეს 2024 წლის 3 და 4 ოქტომბერს,** 10:00 საათიდან 17:00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. ბათუმი, რუსთაველის/ნინოშვილის ქუჩა N32/35 (კორპუსის და ოთახის ნომრის შესახებ ინფორმაცია განთავსდეს გამოცდის საბოლოო შედეგებთან ერთად).

10. ბსუ-ს **სამაგისტრო პროგრამებზე ჩარიცხვის შესახებ ბსუ-ს რექტორის ბრძანება** გამოიცეს **2024 წლის 7 ოქტომბერს,** სასწავლო პროცესის დეპარტამენტის სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე.

11. დაევალოს ბსუ-ს ფაკულტეტების დეკანებს უზრუნველყონ მაგისტრატურაში **მისაღები გამოცდების თემატიკა განთავსებული იქნეს უნივერსიტეტის ვებგვერდზე (შესაბამისი ფაკულტეტის პროგრამების ველში),** არაუგვიანეს 2024 წლის **23 სექტემბრისა.**

12. დაევალოს ბსუ-ს საქმისწარმოების სამსახურს (კანცელარია) განათავსოს ბრძანება ამავე სამსახურთან არსებულ საინფორმაციო დაფაზე.

13. დაევალოს სასწავლო პროცესის დეპარტამენტს ბსუ-ს სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებზე მიღების გამოცხადების შესახებ განცხადების მომზადება და ბსუ-ს ვებგვერდზე განთავსებისათვის წარმოდგენა.

14. დაევალოს საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს წინამდებარე ბრძანება და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებზე დამატებითი მიღების გამოცხადების შესახებ განაცხადი განათავსოს ბსუ-ს ვებგვერდზე.

15. ბრძანება გასაცნობად და აღსასრულებლად დაეგზავნოს რექტორის მოადგილეს (ა. ბერიძე), ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს და ბსუ-ს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს (ფაკულტეტებს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს).

16. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

17. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. № 30.) მისი გამოცემის დღიდან ერთი თვის ვადაში.

რექტორის მოვალეობის შემსრულებელი
პროფესორი **მერაბ ხალვაში**

,,ბსუ-ს სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებზე 2024-2025 სასწავლო წლისათვის **დამატებითი** მიღების გამოცხადების შესახებ“

ბსუ-ს რექტორის 2024 წლის 19 სექტემბრის N 01-02/165 ბრძანების

№1 დანართი

№	ბსუ-ს სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა	ბსუ-ს ფაკულტეტი	სტუდენტთა მისაღები რაოდენობა	პროგრამების აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი	პროგრამაზე სწავლის წლიური საფასური
1.	ეკონომიკა	ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი	9	31.12.2028	**2250 ₾**
2.	ფინანსები და საბანკო საქმე	ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი	4	31.12.2024	**2250 ₾**
3.	განათლების ადმინისტრირება	ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტი	1	31.12.2024	**2250 ₾**
4.	კომპიუტერული მეცნიერება	ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტი	5	31.12.2032	**2250 ₾**
5.	მათემატიკა	ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტი	3	01.07.2027	**2250 ₾**
6.	პროფესიული და უწყვეტი განათლება	ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტი	4	01.07.2025	**2250 ₾**
7.	სამოქალაქო და სამრეწველო მშენებლობა	ტექნოლოგიური ფაკულტეტი	5	31.12.2026	**2250 ₾**
8.	ტურიზმის მენეჯმენტი	ტურიზმის ფაკულტეტი	3	01.07.2030	**2250 ₾**
9.	ციფრული მედია და ინოვაციები	ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი	1	11.05.2026	**2250 ₾**
10.	ქართული ლიტერატურა და ლიტერატურის შედარებითი კვლევები	ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი	1	31.03.2030	**2250 ₾**

,,ბსუ-ს სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებზე 2024-2025 სასწავლო წლისათვის **დამატებითი** მიღების გამოცხადების შესახებ“

ბსუ-ს რექტორის 2024 წლის 19 სექტემბრის N 01-02/165 ბრძანების №2 დანართი

საჯარო სამართლის იურიდიული პირი-

ბათუმის შოთა რუსთველის სახელმწიფო

უნივერსიტეტის რექტორს,

(მაგისტრანტობის კანდიდატის სახელი, გვარი)

პირადი ნომერი: ----------

ფაქტიური მისამართი: ----------

რეგისტრაციის მისამართი: ----------

ტელ (სახლის, მობილური):----------

ელ. ფოსტა: ----------

განცხადება

მსურს მონაწილეობა მივიღო ბსუ-ს მაგისტრატურაში მისაღებ გამოცდებში ----------

---

----------ფაკულტეტის ----------

---------- საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის მიზნით.

დანართი -------- ფურცელი.

ხელმოწერა ----------

------- ----------, 2024 წელი.

,,ბსუ-ს სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებზე 2024-2025 სასწავლო წლისათვის **დამატებითი** მიღების გამოცხადების შესახებ"

ბსუ-ს რექტორის 2024 წლის 19 სექტემბრის N 01-02/165 ბრძანების

№3 დანართი

2024-2025 სასწავლო წლისათვის
ბსუ-ს სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებზე დოკუმენტაციის
მიმღები კომისია

1. ამირან შარაძე - სასწავლო პროცესის დეპარტამენტის უფროსი (თავმჯდომარე);
2. მარიამ ბოლქვაძე - სასწავლო პროცესის დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი - წევრი;
3. მაია თურმანიძე - სასწავლო პროცესის დეპარტამენტის წამყვანი სპეციალისტი - წევრი;
4. გვანცა დიასამიძე - სასწავლო პროცესის დეპარტამენტის დიპლომების გაცემისა და რეესტრის სამსახურის წამყვანი სპეციალისტი - წევრი.